„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ მუხლების მოქმედი რედაქცია, რომლებშიც ხორციელდება ცვლილებები

მუხლი 2. საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილება სახელმწიფო კრედიტებზე ხელშეკრულებების დადებასა და კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან დაკავშირებით

1. საქართველოს პარლამენტი ახდენს სხვა სახელმწიფოებთან, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან, სხვა სახელმწიფოების ორგანოებთან და სხვა სუბიექტებთან სახელმწიფო საგარეო კრედიტების აღებასთან ან კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან დაკავშირებით დადებულ ხელშეკრულებათა რატიფიკაციას, გარდა ამ მუხლის 4^1 და 4^3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. *(24.09.2009 N 1673)*

2. საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით განსაკუთრებული უფლება აქვს:

ა) დადოს ხელშეკრულებები ეროვნული და სხვა კონვერტირებადი ვალუტით ფულადი სახსრების ვალად აღების შესახებ;

ბ) გამოუშვას მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;

გ) საქართველოსა და სხვა ქვეყნების საფინანსო ორგანიზაციებს მისცეს კრედიტებისათვის სახელმწიფო გარანტიები ეროვნული და სხვა კონვერტირებადი ვალუტით, რომელიც გამოეყოფათ საქართველოს ეკონომიკურ აგენტებს საკუთრების ფორმისა და სამეურნეო საქმიანობის მიუხედავად.

2^1. სახელმწიფო საგარეო კრედიტის აღებასთან ან კრედიტისათვის სახელმწიფო გარანტიის გაცემასთან დაკავშირებით საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების თაობაზე წინადადება საქართველოს პრეზიდენტს წარედგინება „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. *(9.11.2005 N 2018)*

2^2. სახელმწიფო საგარეო კრედიტის აღებასთან ან კრედიტისათვის სახელმწიფო გარანტიის გაცემასთან დაკავშირებით სხვა ხელშეკრულებების დადების თაობაზე თანხმობის მისაღებად საქართველოს პრეზიდენტს მიმართავს საქართველოს მთავრობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადების საფუძველზე. საქართველოს პრეზიდენტის თანხმობა სახელმწიფო საგარეო კრედიტის აღებასთან ან კრედიტისათვის სახელმწიფო გარანტიის გაცემასთან დაკავშირებით გაიცემა განკარგულების სახით. *(9.11.2005 N 2018)*

2^3. საქართველოს მთავრობისთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარდგენილ წინადადებას უნდა ერთვოდეს: *(9.11.2005 N 2018)*

ა) ხელშეკრულების პროექტი ქართულ ენაზე (უცხოურენოვანი ტექსტის არსებობისას იგი წარდგენილი უნდა იქნეს ოფიციალურად დამოწმებულ ქართულ

თარგმანთან ერთად). სახელმწიფო საგარეო კრედიტის აღებასთან ან კრედიტისათვის სახელმწიფო გარანტიის გაცემასთან დაკავშირებით დასადები სხვა ხელშეკრულებების უცხოურენოვანი ტექსტების ქართულად თარგმნასა და თარგმანის ოფიციალურ დამოწმებას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე საქართველოს ეროვნული ბანკისა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში გაცემული დასკვნები ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობის შესახებ. *(22.03.2011 N 4469)*

2^4. ამ მუხლის 2^2 პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებებს საქართველოს პარლამენტს სარატიფიკაციოდ წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს მთავრობის წინადადებების საფუძველზე, გარდა ამ მუხლის 4^1 და 4^3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სარატიფიკაციოდ წარსადგენ დოკუმენტაციას უნდა ერთოდეს ამ მუხლის 2^3 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები. *(24.09.2009 N 1673)*

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (12.06.98. N1429) ახორციელებს საგარეო ვალების მომსახურებას, იღებს გადაწყვეტილებებს საგარეო სესხების მოზიდვის შესახებ, აწარმოებს მოლაპარაკებებს უცხოელ კრედიტორებთან, ხელს აწერს შესაბამის დოკუმენტებს სესხის აღების შესახებ, აღრიცხავს და იყენებს ნასესხებ თანხებს.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობისა და საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციის გარეშე ვალის აღებაზე ან გარანტიაზე დადებული შეთანხმება არ არის სახელმწიფო ვალი ან კრედიტებისათვის გაცემული სახელმწიფო გარანტია, გარდა ამ მუხლის 4^1 და 4^3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. *(24.09.2009 N 1673)*

4^1. საქართველოს მთავრობა განსაზღვრავს საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოსაშვები, უცხოურ კონვერტირებად ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელ ნორმებს. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის მაქსიმალური მოცულობა განისაზღვრება შესაბამისი წლის წლიური საბიუჯეტო კანონით. *(8.04.2011 N 4509)*

4^2. ამოღებულია *(8.04.2011 N 4509)*

4^3. საქართველოს მთავრობა საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან გამოსათხოვი საფინანსო რესურსის მოცულობასთან დაკავშირებით. საქართველოს მთავრობა მიმართავს საქართველოს პარლამენტს საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან გამოთხოვილი საფინანსო რესურსის სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვის თაობაზე. საქართველოს

პარლამენტი აღნიშნულ საკითხზე თავის თანხმობას გამოხატავს დადგენილებით. *(24.09.2009 N 1673)*

4^4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან გამოითხოვს თანხებს დამტკიცებული საფინანსო რესურსის ფარგლებში. *(24.09.2009 N 1673)*

5. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ახდენს სახელმწიფო ვალის აღებასთან და კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების გაცემასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებების (შეთანხმებების) იურიდიულ დასაბუთებას (ექსპერტიზას).

მუხლი 11. სახელმწიფო საშინაო ვალის ფორმები

სახელმწიფო საშინაო ვალის ფორმებია:

ა) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები;

ბ) ამოღებულია *(11.05.2006 N3012)*

გ) სხვა სავალო ვალდებულებები, რომლებიც საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიიჩნია სახელმწიფო საშინაო ვალად და დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა.

მუხლი 24. სახელმწიფო საგარეო ვალის მართვასთან
დაკავშირებული საქართველოს ფინანსთა
სამინისტროს ფუნქციები

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან, საქართველოს ეროვნულ ბანკთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად:

ა) განიხილავს შეთანხმებებს სახელმწიფო საგარეო ვალის პირობებისა და ვადების შესახებ, შეისწავლის საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე არსებული დაფინანსების შესაძლებლობასა და პირობებს;

ბ) აანალიზებს სახელმწიფო საგარეო ვალის რეფინანსირების შესაძლებლობასა და პირობებს, უზრუნველყოფს ისეთ მდგომარეობას, რომ ახალი ვალების წმინდა ნაშთი არ აღემატებოდეს წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით დადგენილი სახელმწიფო საგარეო ვალის ლიმიტს (ზღვრულ ოდენობას);

გ) ამ კანონის დებულებების შესაბამისად შეიმუშავებს ნორმატიულ აქტებს და საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს იმ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომლებიც სახელმწიფო საგარეო ვალის მართვის უფლებიდან გამომდინარეობს.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო პასუხისმგებელია საქართველოს სახელით აღებული სახელმწიფო საგარეო ვალის მართვაზე, მომსახურებასა და დაბრუნებაზე.

მუხლი 29. გადაწყვეტილება ინვესტიციების ან იმპორტის
დასაფინანსებლად ხელშეკრულებებით მიღებული

სახელმწიფო საგარეო ვალების აქცეპტირებაზე

1. საქართველოს პრეზიდენტი ინვესტიციების ან იმპორტის დასაფინანსებლად აღებული სახელმწიფო საგარეო ვალების აქცეპტირებაზე ყველა გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოთავაზებით და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმებით. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ფორმდება ხელშეკრულება, რომლის რატიფიკაციასაც ახდენს საქართველოს პარლამენტი, გარდა ამ კანონის მე-2 მუხლის 4^1 და 4^3 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. *(24.09.2009 N 1673)*

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ყველა რეკომენდაცია უნდა შეესაბამებოდეს ამ კანონისა და საქართველოს სხვა კანონების მოთხოვნებს.

მუხლი 30. ინვესტიციების ან იმპორტის დასაფინანსებლად
სახელმწიფო საგარეო ვალებიდან მიღებული
სახსრების განაწილება

1. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, ინვესტიციების ან იმპორტის დასაფინანსებლად სახელმწიფო საგარეო ვალების შესახებ ხელშეკრულებების საფუძველზე მიღებული სახსრები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინადადებით შეიძლება გაუნაწილდეს საქართველოს საფინანსო დაწესებულებებს.

2. ვალად აღებული სახსრების დაბრუნების პირობები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საფინანსო დაწესებულებებს შორის დადებული ხელშეკრულებებით, რომლებითაც დადგენილია სამინისტროსათვის გადასახდელი საპროცენტო განაკვეთი, საპროცენტო განაკვეთზე მარჟის ლიმიტი, რომელიც შეიძლება გადაახდევინოს ეკონომიკურ აგენტს საფინანსო დაწესებულებამ, აგრეთვე სახსრების მიღებისათვის შერჩეული ეკონომიკური აგენტების რაოდენობა და მხარეთა სხვა ვალდებულებები. სამინისტროსა და საფინანსო დაწესებულებებს შორის ვალის შესახებ დადებულ ხელშეკრულებებში მითითებულია, თუ რომელი ვალუტით იქნება გაანგარიშებული და დაბრუნებული ძირითადი თანხა და შესაბამისი პროცენტები.

მუხლი 31. საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად
სახელმწიფო საგარეო ვალებიდან მიღებული
სახსრების განაწილება

1. საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად სახელმწიფო საგარეო ვალებიდან მიღებული სახსრები ეკონომიკურ აგენტებს უნაწილდებათ ინდიკატური გეგმის შესაბამისად.

2. ინდიკატური გეგმით გათვალისწინებული საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად სახელმწიფო საგარეო ვალებიდან მიღებული სახსრები ნაწილდება საფინანსო დაწესებულებების მეშვეობით. ამ მიზნით:

ა) ეკონომიკური აგენტები საფინანსო დაწესებულებებში წარადგენენ

საინვესტიციო პროექტებს, ბიზნეს-გეგმების ჩათვლით, და ეკონომიკური აგენტების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ამსახველ სხვა საჭირო დოკუმენტებს;

ბ) საფინანსო დაწესებულებები შეისწავლიან საინვესტიციო პროექტებს, ბიზნესგეგმების ჩათვლით, ეკონომიკური აგენტების უნარიანობას - დააბრუნონ სახელმწიფო საგარეო ვალებიდან მიღებული სახსრები, და იღებენ გადაწყვეტილებებს სახსრების განაწილების თაობაზე;

გ) სახსრების განაწილების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე საფინანსო დაწესებულებები აფორმებენ ხელშეკრულებებს კრედიტების მიმღებებთან და გადაურიცხავენ სახსრებს.

3. სახელმწიფო ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი საინვესტიციო პროექტებისათვის სახელმწიფო საგარეო ვალებიდან მიღებული სახსრების მართვას უშუალოდ ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებებით მიღებული პირობების შესაბამისად. ამ შემთხვევაში:

ა) განაწილების პროცედურა ისეთივეა, როგორც ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღწერილი პროცედურა, იმ განსხვავებით, რომ ეკონომიკური აგენტი მე-2 პუნქტში მითითებულ ყველა მასალას უშუალოდ წარადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროში საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან, დარგობრივ სამინისტროებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან, სტრუქტურებთან და ორგანიზაციებთან ერთობლივად განსახილველად;

ბ) საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად სახელმწიფო საგარეო ვალებიდან მიღებული სახსრების განაწილების თაობაზე საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შემდეგ მათ მართვაზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

მუხლი 38. სახელმწიფო გარანტიის გაცემის აუცილებელი პირობები

1. საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო გარანტიის გაცემისას აუცილებლად დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ეკონომიკურ აგენტს შორის უნდა დაიდოს ხელშეკრულებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო კრედიტების დასაფარავად მიმართული სახსრების მთლიანად დაბრუნებას, კერძოდ:

ა.ა) გირავნობის ხელშეკრულება;

ა.ბ) ხელშეკრულება სავალო ვალდებულებების დათმობაზე;

ა.გ) ხელშეკრულება, რომელიც უფლებას იძლევა მოიხსნას სახსრები ეკონომიკური აგენტის საანგარიშსწორებო ან სადეპოზიტო ანგარიშებიდან;

ა.დ) შეთანხმება, რომელშიც მითითებულია ეკონომიკური აგენტის საბანკო ანგარიშებზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უპირობო კონტროლის უფლება;

ბ) საშინაო კრედიტებზე სახელმწიფო გარანტიების თანხამ არ უნდა გამოიწვიოს ვალდებულებების ლიმიტის ზრდა საბანკო სისტემის მიმართ, რომელიც

განსაზღვრულია მოცემული პერიოდისათვის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შესაბამისად;

გ) ეკონომიკურმა აგენტმა რისკის ფონდში გადარიცხვა უნდა აწარმოოს დადგენილი მოცულობითა და განსაზღვრულ ვადაში.

2. სახელმწიფო გარანტიები საშინაო კრედიტებზე სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებში უპირატესად მიეცემათ საქართველოს იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ემსახურებიან ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ დაწესებულებებს.

3. სახელმწიფო გარანტიები საგარეო კრედიტებზე შეიძლება გაიცეს მხოლოდ საქართველოსათვის პირველი რიგის მნიშვნელობის პროექტების დასაფინანსებლად.ამასთან, შერჩევის კრიტერიუმები იგივე უნდა იყოს, რაც დადებული ხელშეკრულებებით მოზიდული საგარეო კრედიტების დროს.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო განსაზღვრავს გარანტიებზე დადებული ხელშეკრულებების ფორმას და მოქმედების ვადებს, რომელთაც ათანხმებს საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან.

მუხლი 39. გადაწყვეტილების მიღება სახელმწიფო
გარანტიის გაცემაზე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარდგენით საქართველოს პრეზიდენტი ამ კანონით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფო გარანტიის გაცემაზე. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე ფორმდება ხელშეკრულება, რომლის რატიფიკაციასაც ახდენს საქართველოს პარლამენტი.